კვირა 15 მაისი 1916 წ.

ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6·

# ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 20

## 300 წლის დღესასწაული უკვდავი მწერლის სერვანტესისა.

ქართველი დონ-კიხოტი*) და სანჩო-პანჩო**) ბრუნდებიან გამარჯვებულნი ქარის წისქვილებთან ბრძოლის შემდეგ.

*) მწერლობაში კიტა აბაშიძის ფსევდონიმით გამოდის.

**) მწერლობაში კოწია თუმანიშვილის სახელს ატარებს.

# საქმის კაცები.

გათავდა ის „საქმე“
და დონ-კიხოტები,
ეროვნულ „მერანთა“
ზე შენაბოტები,

მოდიან ამაყად,
მოდიან მძლეველნი,
რაინდულ ყიჟინის
სიუხვით მფრქვეველნი.

მათ უკვე მოსტეხეს
ფრთა ქარის წისქვილსა,
თავს ლაფი დაასხეს
სიმორცხვეს, სირცხვილსა!

შემოსეს დიდებით
მათ ერის სახელი,
რაკი თვით შეიქმნენ
მის გამომსახველი.

შეხედეთ დონ კიხოტს,
„როსსინატს“ მისასა...
(ქართველ გლეხს თუ არ ჰგავს
და თავად კიტასა!)

—

სამასი წელია,
რაც დიდი სერვანტეს
ისპანთა მწერალი
მოკვდა და დამარხეს.

მაგრამ ის, რაც მისმა
აღბეჭდა კალამმა,
ჯერაც ვერ შემუსრა
ეამთა ცვლის ძალამა.

კვლავ ცოცხლობს „დონ-კიხოტ“
სერვანტეს კი არა...
თვით სანჩო-პანჩომაც
ჯანმრთელად იარა,

და დღესაც სეირნობს,
ის როგორც წინათა
გულმშვიდი ღიმილით,
და არხეინათა.

ყველა ერს ბლომათ ყავს
ამგვარი მხედრობა,
მაგრამ ჩვენ ამ მხრივაც
ვერავინ გვედრება,

და მიკვირს საშინლად
საგანს რო ჩავხედავ,
იმ რიგათ მიკვირს, რომ
თქმასაც ძლივს გავბედავ:

—რათ მოკვდა სერვანტეს,
სანჩო კი გადარჩა?
და ქართლის ცხოვრება
დონ-კიხოტთ რად დარჩა?

**ეშმაკი.**



# ორი რედაქცია.

„სამედიატორო სასამართლომ, რომელიც შესდგა ფარმ. ქვათაძესა და „ზვირთის“ კორესპოდენტ, შუბის“ შორის უკანასკნელის ბრალდება დაუსაბუთებლათ სცნო და თანახმად მხარეთა შორის დადებულ პირობისა 50 მანეთი „თანამედროვე აზრის“ რედაქციას გადასცა. (გაზეთიდან).

**ზვირთის რედაქციაში.**—მეგობრებო, ამ გარემოებას საჭიროა ახლავ გაეწიოს ანგარიში. მართალია ჩვენს რედაქციას ამით არაფერი აკლდება, ჯარიმას კორესპოდენტები იხდიან, მაგრამ სახეში სხვა მხარეც უნდა მივიღოთ. საქმე იმაშია, მეგობრებო, რომ ამით ჩვენ ვაღონიერებთ ჩვენი მტრების რედაქციას. ხუთი თუმანი, რა თქმა უნდა დიდი არაფერია, მაგრამ მთავარი საფრთხე პრეცენდენტის შექმნაა. თუ ყველა ჩვენს საალალბედოთ გაშვებულ ინსინუაციებს ასეთი კუდი გამოაბეს და მათი სამართლიანობის დამტკიცება მოგვთხოვეს სად წაგვიყვანს ეს პერსპექტივა?

— გვესმის, მეგობარო, თქვენი გულისტკივილი, მაგრამ საქმეს რითი უნდა ვუშველოთ?

— აი მომისმინეთ. ქართველი დემოკრატია, რომლის წარმომადგენელი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენა ვართ, რასაკვირველია ბრძოლის ამ საშუალებაზე ხელს ვერ აიღებს, ეს იგივე იქნება, რომ გერმანიას წყალქვეშა ნავებით თარეშით აუკრძალო, მაგრამ ჩვენ საქმე ისე უნდა მოვაჯახრაკოთ, რომ ჭანგის მოდება არ შეიძლებოდეს.

— ვეცდებით, ვეცდებით! ერთხმათ უპასუხა თედორეს „მთელმა ქართველმა დემოკრატიამ". (სამში მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი).

— მაშ ეგრე. მეგობრებო! არც ერთი კაპეიკი ჩვენს მტრებს ჩვენი ჭორების ფასად.

---

**„თანამედროვე აზრის" რედაქციაში.** ამხანაგებო! მითხარით რა სახელით შევიტანოთ ეს ხუთი თუმანი საანგარიშო წიგნში.—ჩუმ-ჩუმი ღიმილით ეკითხებოდა ვასო სარედაქციო კოლეგიის წევრებს.

— სრულიად უბრალოდ, წარმოსთქვა, ერთმა,- ჩასწერე: „შემოვიდა „ზვირთის" რედაქციიდან „თანამედროვე აზრის" ფონდის გასაძლიერებლათ ამდენი და ამდენი"...

— არა, მე მგონია ასე უმჯობესი იქნება: „მიღებულ იქმნა გაზ. „ზვირთის" რედაქციისაგან მის ნებსით და უნებლიეთ ცოდვათა მოსახსენებლათ ხუთი თუმანი. პანაშვიდი დანიშნულია..."

— დაწყევლა ღმერთმა, კაცო „საქართველოს" რედაქციაში ხომ არა ვართ პანაშვიდები ვიხადოთ.

— ასეა, თუ ისე, ეს კარგი წყარო აღმოუჩნდა ჩვენს გაზეთს ამ სიძვირის დროს. ვსთქვათ ცხრა მეათედი ცილის წამებათა და ინსინუაციებისა მიიჩქმალა, დანარჩენი ერთი მეათედიც კვირეში ოცდაათ—ორმოც თუმანს იზამს.

— თუ ასეა, ამ თანხით ჩვენ შეგვეძლება საორშაბათო გაზეთი გამოვსცეთ თფილისში და ვებრძოლოთ „სახალხო გაზეთის" ნაბიჭვარას.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ თუ ვებრძოლებით და მოვსპობთ, მაშინ ეგ შემოსავალიც ხომ მოისპობა.

უხერხული მდგომარეობა შეიქნა.

---

„ეშმაკის მათრახის" რედაქცია თავის მოსაზრებას გამოსთქვამს ამის შესახებ.

ჩვენის აზრით „თანამედროვე აზრის" პოზიცია შემცდარია. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, თუ რა სამსახურს უწევს გაზ. „ზვირთი" მის დედინაცვალ „სახალხო ფურცელს". ვერც ერთი ორგანო ვერ მიაყენებდა მათ იმ ზიანს, რაც უკვე მოიმოქმედა თევდორე ღლონტის ზვირთმა. თუ მართლა დარღვევა უწერია იმას, რაც აშენებული არაა და რასაც „ფედ. პარტია" ეწოდება, საუკეთესო მრღვეველი თედორე ღლონტი და მისი „ზვირთია. ბ-ნ გერონტი ქიქოძის „საქართველოში" გადასვლა, უმთავრესად თევ. ღლონტის მიზეზია, ვინაიდან ორი ბუმბერაზი ერთ პატარა ჭაობში ვერ მოთავსდებოდა..

ვიცოცხლოთ და მასაც დავინახავთ, თუ როგორ გააძევებს თევდორე ღლონტი კიტა აბაშიძეს, და სხვა მის მაგვარ სოციალისტებს. ჩვენ გვგონია გაზ. „საქართველოს" მოსყიდული ყავს თედორე ღლონტი და თუ ჩემი მოსაზრებანი მართალია:

— დაუბრუნდეს მიღებული 50 მან. „ზვირთის" რედაქციას, რომ მან განაგრძოს თავისი მუშაობა „ეროვნული სოციალიზმის" ნგრევის საქმეში.

**მორიელი.**

# მზინარე.

გაზ. „სახალხო ფურცლის“ მე-567 ნომერში გორელი კორესპონდენტი ბ-ნი სანგანიძე სწერს:

„გორელი იცინის მაშინ, როცა სატირალია, სტირის— როცა უნდა იცინოს; ჰყვირის, როცა ჩუმათ ყოფნაა საჭირო, კრინტს არა სძრავს, როცა უნდა იყვიროს; ზეიმობს იქ, სადაც სამგლოვიაროა, ძაძას იცვამს, როცა ზეიმია საჭირო...“

„მარად იცხოვრებ, მარად ისწავლიო“ ამბობს, ვგონებს, რომელიღაც ანდაზა. სწორეთ ახლა მივხვდით, რატომ არის, რომ გორელი კორესპონდენტი „სახალხო ფურცლისა“ ბ-ნი სინგანიძე: სიცრუედ ასაღებს, რაც სიმართლეა, სიმართლედ გამოაქვს, რაც სიცრუეა; მახინჯათ ასურათებს, რაც სალ-სალამათია, სალათ გამოჰყავს, რაც გონჯი და მახინჯია; დირეს ხედავს იქ, სადაც ბეწვია და ბეწვს ვერ ამჩნევს იქ, სადაც დირეა. ამაზე ითქმის: „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“.

-კი.



## გიყარს პირი.

**იგავ-არაკი.**

სოლომონი და დავითი
მიდიოდენ ერთხელ გზათა—
(ის არ ვიცი, ეს მგზავრობა
მოისურვეს იმ დღეს რათა!)
გზაში შეხვდათ მწირის ქოხი,
ჩანათხარი მიწას ღრმათა.
ქოხ-წინ იჯდა გლეხი კაცი,
ფიქრს ექცია იგი ქვათა.
დაინახა ორი ბრძენი,
სალამი სძლვნა, ვით წესია.
მოახსენა: რჩევას ვითხოვ,
თქვენი სიბრძნე უგრძესია.
ღარიბი ვარ, უმამულო,
არც მიხნავს, არც მითესია,
მხოლოდ იმით ვარ მდიდარი,
შვიდი შვილი დამესია.
აწ სიმშილი კარზე მადგას,
შემაწუხა მეტის-მეტად,
პური არ მაქვს, არც სიმინდი,
ერთი ძროხა მყავდა კენტად,
მინდა დავკლა—მაკე ძროხა,
მენანება გასამეტად,
სიკვდილი კი მემუქრება
ცოლშვილითურთ გასაჟლეტად.
და სიკვდილის ანგელოზი
დღეს არის თუ ხვალ მეწვევა,
მოთმინება აღარ ძალ მიძს,
გულში სევდა არ მეტევა,
უნდა დავკლა მაკე ძროხა,
თუმცა სისხლი დაინთხევა,
სხვა სახსარი არა მაქვს რა,
და როგორ ვქნა, მომეც რჩევა.
დავით ბრძანებს: „არ დაკლაო,
მოგებამდის მოუცადე,
როს მოიგებს, მისი წველით
შენთვის საზრდო შეამზადე,
რძე მაწონათ შეადედე,
ერბო, ყველი ამოხადე,
როდესაც ხბო მოიზრდება
დაკალ სჯამე მით სამწვადე“.
სოლომონმა უთხრა გლეხსა:
—მე კი გირჩევ დღეს დაჰკალო,
დღეს მაგითი იოლს წახვალ,
ღმერთი სხვასა მოგცემს ხვალო“.
გაურისხდა მეფე ბრძენსა:
—გირჩევ იქით მოგვეცალო,
თავად ისეც ღარიბია,
გსურს ოჯახი დაუცალო?!
მიუბრუნდა დავით გლეხსა:
— მე რაც გითხარ დამიჯერე,
ხბოს მოიგებს, რძე მაწონით
კუჭს გაიძღობ კარგათ მერე,
ყველს და ერბოს ფულზე შესცვლი,
ტანთ საცმელი შეიკერე,

არ გაბედო ძროხის დაკვლა,
ხელ უხლებლათ გააჩერე.

ურჩია და გზას გაუდგენ
სვლა განაგრძეს, გაიარეს,
მწვანებ ველთა შეჰხაროდენ,
გლეხზე ფიქრი უკუ ჰყარეს,
მივიდენ იქ, ვინც ელოდათ
ვისი ნახვით გაიხარეს.
აქ კი გლეხი მთლათ შეეპყრო
განსაცდელსა მეტათ მწარეს.

რა თქმა უნდა, მომლოდინე
დატრიალდა მასპინძლურად,
გაუშალა ლურჯი სუფრა,
ზედ ხორაგი ჯურა-ჯურად,
სასმელები მშვენიერნი,
მოსალხენად საამურად,
სტუმარი და მასპინძელი
შემოუსხდენ სუფრას პურად.

ლხინსა მორჩენ. წამოვიდენ,
მოატანეს ქოხის კარსა.
დავით გულით დაეძებდა
ძროხის პატრონ მეგობარსა,
სურდა მისთვის დაეკითხა
ფურს შესძენდა, ან თუ ხარსა,
მოახლოვდენ და წარმოსთქვა:
— შვილო, ნეტავ ეს რა ჰყარსა?

უპასუხა შვილმა დავითს:
—მამავ, ვგონებ გიყარს პირი!
თორემ ახლოს არა სჩანს რა,
არც ფრინველი, არც ნადირი,
აბა მიდი, ქოხი ნახე
იქ დაგხვდება გასაკვირი,
რაცა შენის ბრძანებითა
გლეხს მოჰგვარე გასაჭირი“.

რა წინ წარსდგა, ქოხს შეხედა,
საოცრება დაინახა:
ხალხი ყველა დახოცილი
მოგებაში მკვდარი ძროხა,
თუმცა ბევრი შეინანა,
გულსა შინა ივაგლახა,
(ესრეთს ნაყოფს გამოიღებს
ზოგიერთა რჩევა გლახა)

მოახსენა სოლომონმა:
—ამას ხედავ რა მოხდაო,
ერთი მრუდე რჩევისაგან
მთლად ოჯახი ამოწყდაო.
დიდი გმართებს სინანული,
ამა ცოდვის ჩამოხდაო,
რათა შენით დაიხოცნენ
რაც ჰყარს, შენს პირს აღმოხდაო.

**ან. განჯის-კარელი.**

# ქალთა საკითხი.

სწორედ შემთხვევით წავაწყდი „სახალხო ფურცლის“ 569 ნომერში ერთ ჩემს ძველ ნაცნობ მანდილოსანს, ქ-ნ ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასულ იმნაძეს.

წავაწყდი და სასიამოვნოდ განმაცვიფრა ქ-ნ ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასულ იმნაძის*) არსებობამ და მსოფლ მხედველობაში მომხდარ ცვლილებებმა.

წინეთ ის მხოლოდ „ლეო ხუნდაძე“ იყო, რამაც ერთხელ უნებლიეთ შეცდომაში შემიყვანა, ახლა კი „ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასული იმნაძე“ გამხდარა. ჩემთვის კი მეორე ცვლილებაა უმეტეს საყურადღებო.

წინეთ ქ-ნი ლეო ხუნდაძე ეგრედ წოდებულ „ძალის“ პარტიას ეკუთვნოდა და სადაც საქმე „ძალით“ სწყდება იქ სიმართლეს რაღა ადგილი უნდა ჰქონდეს. დღეს კი ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასული იმნაძე უკვე „სიმართლის აღვიარების“ პარტიაში გადარიცხულა.

ამიტომაც იყო, რომ „წერილის“ თავმა და ბოლომ სასიამოვნოდ განმაცვიფრა. მაგრამ როცა შინაარსი გავიცანი ჩამეცინა და მომაგონდა:

„ტყავი თუმც გამოგიცვლია
გული გაქვს ესევ ძველია“.

მე დარწმუნებული ვარ, ქ-ნ ლეო (ვასილ)

*) არ იფიქროთ, რომ გრძელი ტიტული მარტო ბუხარისა და ხივის ემირებს ჰქონდეთ.

ხუნდაძის ასულ იმნაძეს „სიმართლის აღიარება“ იმიტომ დასჭირდა, რომ... ხათაბალაა სწორეთ ქალებთან კამათი. სულ სხვა იქნებოდა ეს წერილი რომ ბეჟან ვასილის-ძე ხუნდაძეს დაეწერა, მაშინ ვიტყოდით გაბედულათ: ეს „სიმართლის აღიარება“ იმისთვის დაჭირდა ბ-ნ ბეჟან ვასილის-ძე ხუნდაძეს, რომ ერთი წიხლი კვლავ გაიქნიოს დასელებისაკენ მეთქი. აქ არავითარი ფაქტიური და მით უმეტეს მორალური შეცდომა, თუ ანტითავაზიანობა არ იქნებოდა.

ქალბატონ ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასულ იმნაძესთანაც ასეთი ტაქტიკა არ გამოადგება და თუნდაც ათასჯერ მისაყვედუროს ამის გამო ქალ-ვაჟთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა, მე მაინც ვერ დავეთანხმები ბ-ნ შოთა რუსთაველის სიტყვებს:

„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“,

მით უმეტეს, რომ საგანი ქ-ნ ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასული იმნაძის წერილისა „ქალთა თანასწორობის“ საკითხია. ის, ძველებური გატაცებით, ეკამათება „თანამ. აზრის“ კორესპ. „დამსწრეს“ და ბრალსა სდებს იმ ბოროტ განჭრახულებაში, რომ მან არ აირჩია „კავშირთა კავშირში“ არც ერთი ქართველი ქალი. დანაშაული პირდაპირ მიუტევებელია. საზოგადოთ მდედრობითი სქესი ქართველობის დაახლოვებით ნახევარს შეადგენდა, ხოლო დღეს ორი მესამედი მაინც იქნება. და თუ ეს ასეა, რატომ მოხდა, რომ შვიდ კაცში ერთი ქალი არ გამოერია?

ქ-ნი ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასული იმნაძე ჩემის აზრით სამართლიანად აბობოქრებულა ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ. აქვე ვიჩქარი განვმარტო, რომ მე ქალთა თანასწორობის საკითხში ერთობ მოვიკოჭლებ. მაგალითად ჩემთვის გაურკვეველია, როგორ მოიქცეოდა ქალთა თანასწორობის მომხრე აი თუნდ ასეთ კონკრეტიულ შემთხვევაში:

ვსთქვათ ასარჩევია ახალი ქართული საზოგადოების გამგეობა ხუთი კაცისაგან. კრებას დაესწრო 50 კაცი, რომელთაგან 15 მდედრია, 35 მამრი. საზოგადო განვითარების, მომზადების და ენერგიის მხრით მამრებში 15 საკანდიდატო კაცია. ამათგან ყველას პირველი სჯობია და ასე ბოლოსკენ ღირსება კლებულობს. მეხუთმეტე მამრის შემდეგ მამაკაცებს ღმერთი უწყრებათ და პირველობა დედაკაცის მხარეს გადადის. რა მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელოს ამრჩეველმა ამ შემთხვევაში:

ა) აირჩიოს ხუთი მოწინავე მამაკაცი,

თუ

ბ) ქალთა თანასწორობის მიხედვით გამოსტოვოს 11 უფრო ღირსეული კანდიდატი მამაკაცი და აირჩიოს მეთექვსმეტე წყებაში მდგომი ქალი?

ვსთქვათ ეს მეთექვსმეტე კანდიდატი ბრძანდებოდა ქ-ნი ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასული იმნაძე. საინტერესოა ვიცოდე: როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში პატივცემული მოღვაწე ქალი. გადაახტებოდა იმ თერთმეტ ღირსეულ კანდიდატს, თუ დასთმობდა პრინციპს თანასწორობისას?

გარდა ამისა, ვსთხოვ უფრო მცოდნე პირთ ქალთა მოძრაობისას, (ვიდრე ქ-ნი ლეო (ვასილ) ხუნდაძის ასული იმნაძეა) განმიმარტონ: — გულისხმობს ასეთ დათმობას ქალთა თანასწორობის საკითხი, თუ...

ეშმაკი

# პატარა ფელეტონი.

## არაკი.

„სიამითა და შვებით ვივსები,
როდესაც ვკითხულობ გაზ. „ზვირთს“.
კ. ებრალიძე.

ვირი ჭაობში დაებათ —
დიდ-ყურა საზრდოს ძიობდა,
რა-კი ბალახი ეშოვა
სხვას აღარაფერს ჩიოდა!
წუმპეში, ლაფში ნაზარდი
მწვანითა იკვებებოდა,
არ ქონდა დარდი ჭუჭყისა
სწიწკნიდა, იღეჭებოდა!..
მოსწონდა მწვანე ბალახი,
სჭამდა თან დახვიხვინებდა
და ყროყინ-ტრაბახობითა
მყრალ ჭაობს მოალხინებდა:

„რა კარგსა წალკოტს დამაბეს—
ედემში ვცხოვრობ, ვსტკბებიო,
ლორთქოში, მწვანე ბალახით
კუჭს ვივსებ, ვიკვებებიო!
პატივს მცემს ჩემი პატრონი,
ძველებრ არ ვიტანჯებიო,
ალარც საპალნეს დავათრევ,
როგორაც სხვა ვირებიო!
რა-კი წალკოტი ვიხილე,
გავეცან მწვანის გემოსო,
აქედან ფეხსაც არ დავსძრავ,
თუნდა კეტითაც მცემოსო!
მეყოფა: დიდი სასჯელი
გმირულათ გადვიტანეო;
სხვის სამსახურით, შრომითა
უზომოთ მოვიღალეო“!.
და, შეკუნტრუშდა, შეუხტა,
თანაც გაგორდა ჭაობში,
საბრალოს, თავი ბედშავი,
მართლაც ეგონა წალკოტში!..
და როცა გული იჯერა—
ხმა აუწია ნაზ ტონსა,
შეხედა თავზე წამომდგარს
თვისს განრისხებულ პატრონსა.
—„ეგ რა გიქნია მუტრუკო,
ტალახში რატომ გორაო,
ეგ შენი ზუგი ნათითხნი
როგორღა დავიურაო?“.
ზე წამოაგდო, გასჯოხა
და წამოჭიდა ცალები...

—

როგორა ჰგვანან ამ მუტრუკს
ზოგ-ზოგი მაჩანჩალები.

**ალბურიონი.**



# ლამაზ ქეთოს რომ ჰკითხავენ:

— ქეთევანა სოფრომოვნა, რას ფიქრობთ— როგორი ყმაწვილია გუგული?

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა გითხრათ! კრასივ, იზიაშჩენ, ნო უ ნეგო ესთი ოდინ ბოლშოი ნედოსტატოკ.

— მითხარით, ქეთევანა სოფრომოვნა, რა ნაკლი აქვს ისეთი!

— ვერა, ვერა! ვერ გეტყვით! არავისთვის არ მითქვამს და არც თქვენ გეტყვით! დამიფაროს ღმერთმა!.. სკაჟუ ტოლკო, ჩტო ონ გლუპ! ხანდახან ისეთ სიტყვებს იტყვის ხოლმე, ჩტო პროსტო უდივიტელნო! ასეთი აზრისაა ჩემს შესახებ ლამაზი ქეთო.

მკითხავთ: რადა?

აი რად!

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც ქეთოსთან ერთად დავსეირნობდი ქალაქის ბაღის მყუდრო კუთხეებში და ქეთოს გული თითქმის დაპყრობილი მქონდა, ერთმა აზრმა გაკირბინა თავში:

„მე ქართველი ვარ, ქეთოც ქართველია! მაშ რადა ვსაუბრობთ რუსულ ენაზე? განა ქართული ენა მდიდარი არ არის სიყვარულის გამოსათქმელ სიტყვებით?

ამ აზრის შემდეგ მტკიცედ გადივსწყვიტე ქეთოსთან წმინდა ქართულ ენაზე მესაუბრა.

— ქეთევან, ამ ხეივნებში ლიფლიფები არსად არ ანთია და თქვენ ხომ შიშმა არ შეგიპყროთ?

ქეთო გაშტირდა! „ხეივანი“, „ლიფლიფა“, „შეგიპყრო“—ეს ყველა მისთვის უცხო ხილი იყო.

— თუ შეგეშინდათ სიბნელისა წამსვე წუმწუმას გავკრავ, თამბაქოს გავაბოლებ და მის შუქზე გავაგრძელებ ქათინაურს... ქეთევან, როგორ ქართულ ენის უცოდინო გიაურივით გაჩუმებულხართ?..

ქეთომ ფეხს მოუჩქარა და მალე ელექტრონით განათებულ გზებზე გამოველით. აქ ქეთოს თვალებში ცრემლები შევნიშნე.

— პროშჩაიტე! მითხრა მან აკანკალებული ხმით. მე არ მეგონა, თუ თქვენ მაგისთანა ცუდი სიტყვებით გამლანძღავდით.

— ქეთევანა სოფრომოვნა, ეს რა ლანძღვა იყო. ქეთევანა სოფრომოვნა, მოითმინეთ... ეტლს მაინც დაგიქირავებთ... პროსტიტე... ქეთევანა...ეხ!

**გუგული.**

# გამოცანა

(გან. ლაზარეთი)

გამოცანას მოგახსენებთ
დიდი არაფერიაო,
ოთხ თვალა და ფეხებ გრძელა
უწნო ჭია-ბწერიაო,
ტეხნიკობას მიჰყო ხელი,
თუმც მკურნალად სწერიაო

ეზოს ზომავს, პლანებს იღებს
თითქო ზემლემერიაო,
სასირბილო თუ რამეა
მორჩილ ფეხთა მტვერიაო,
სადაც ნახავს არ გაუშვებს:
ძაღლებისა მტერიაო.

კ—ა.




ბ-ნო სახალხო სკოლათა დირექტორებო! მე გიხმეთ აქ, რათა გაგიცხადოთ, რომ თქვენ უნდა გააშროთ 5000000 კომბოსტო... მართალია, თესვის დრო უკვე გაცდენილია... მართალია თქვენს სკოლებს არა აქვს კომბოსტო, მართალია ბავშვები ოჯახისათვისაც ძვირფასნი არიან, მართალია ამ საქმისთვის თქვენ ერთ გროშსაც ვერ მიიღებთ და მართალია ისიც, რომ ამ საქმის, მაპატიეთ სომხური სიტყვის ხმარა, თქვენ „ინჩიც“ არ გაგეგებათ, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩემი ბრძანება ენკენისთვის პირველს შესრულებული უნდა იყოს.

# ხელ-ახლად არჩევის გამო




ა. ი. ხატისოვი, ბ-ბო, მე ქალაქის კეთილდღეობისათვის არ დამიზოგავს სიტყვა... (ტაში).




# მორიგი ექსტაზი მამულიშვილისა

ვფიცავ! ვფიცავ, მეგობრებო,
„იმის“ ფეხებს...
(ოქროს ქოშას)
რომ ერთგულათ ვემსახურო
სანეტარო
„ძმობის“ დროშას.

ი. ბრიშაშვილი.

# დეპეშები.

**საგარეჯო.** დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „ნათლი-მამობა“, რომელიც უმთავრესად შაბიამანს ანაწილებს. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა ბ-ნი ბაზიეროვი.

**სოხუმი.** ადგილობრივი დემოკრატიის მიერ დაარსებულ კოოპერატივს „მაჩიხას“ (დედინაცვალს) დიდი წინმსვლელობა ეტყობა. გამგეობაში არჩეულია სამი ღენერალი, სამი გრაფინია და ერთი ტომარა*). უბრალო ხალხს აღარ აწუხებენ თავის საქმეზე შრომით. ცხადია მომავალ არჩევნებზე დემოკრატია სავსებით დააფასებს ამ თავაზიანობას და შემდეგისთვის აღარ გარჯის პატივცემულ პირებს.

**ბახვი.** 24 აპრილს, საღამოს ხუთ საათზე, მოულოდნელათ დაატყვევეს რამოდენიმე ვაჭარი. პირველად „ბაზარს“ თავზარი დაეცა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ დაჭერილები, სამკითხველოს წევრთა მეორე კრებაზე დასასწრებლათ მიჰყავდათ და პანიკა მცირედ დაცხრა.

ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს ძველებს: „შიში შეიქმს სიყვარულსაო“.

**ხაშური.** ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ბნელ ქუჩებში დაიმტვრა მხოლოდ სამი კაცი და ცხრა დედაკაცი. აკრძალეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები.

**იქიდანვე.** ადგილობრივმა მოძღვარმა საშინლათ გაამაგრა სასაფლაოს რაიონი. ცოცხალ არსებას შესვლა არ შეუძლია. შიშობენ: ვაი თუ მიცვალებულიც აღარ შეუშვასო.

**იქიდანვე.** „თამარობის“ დღესასწაულმა ბრწყინვალეთ ჩაიარა. გამოირკვა რომ ხაშურში 300 თამარი ყოფილა, რასაკვირველია განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.

ერთმა ადგილობრივმა მოღვაწემ იანგარიშა, რამდენი თამარი გვეყოლება ათი წლის შემდეგ, თუ რომ გამრავლება წესიერი გზით წავა.

შედეგი დამაკმაყოფილებელია.

„ვარდენიშვილი“.

—

*) რედაქცია აღშფოთებულია საგენტოს მოუწყობლობით. ცხადია „ტომარას“ მაგიერ სხვა ვინმე იქნება არჩეული, თუნდაც ბ-ნი ნიკო თავდგირიძე. ნეტავ როდის ვეღირსებით სწორე ცნობების მიღებას.

**ნავთლული.** (განმანაწილებელი პუნქტი). ერემენცოვი იუწყება ცენტრალური ცეიხგაუზის დეპეშათა სააგენტოდან, რომ „ერვანდ ფაშის მიერ პაგონ-იარაღ აყრილი „პორკონიკი“ ოტ ინფანტერი დეზინფერიი კოსლერ შპორებიანცი ქალაქში კვლავ „პორკონიკის“ ფორმით იარება, რის მოწმე თვითონვე გავხდი და კინალამ კომენდატსკი უპრავლენიეში ამოვყავი თავიო“.

ამბობენ რომ ნავთლულიდან „ვოლნი“ ტანისამოსში გამოწყობილი გადის ტრამვაით, მაგრამ ქალაქში ჩასვლამდი, (რაღაცა სასწაულით) „პორკონიკი“ ხდება; ბევრისგან გაიგონებთ, თითქო ჯიბაში ჰქონდეს მთელი ამუნიცია და ისე იყოს დახელოვნებული, რომ წუთი იყოს წაჭირო, როგორც გასაკეთებლად აგრეთვე მოსაშორებლათო. სინამდვილის გამოსარკვევათ დაინიშნა სპეციალურ მზვერავთა კომისია.

**იქიდანვე.** „7—66“ სიმაღლე ერთი შეტევით აიღო ერვად ფაშამ, ამიტომ აღარ დასჭირვებია „რასჩოტის“ ქარხნის ზარბაზნის ხმარება. რუბენ ბეი ძველებური სახით შეუდგა სამსახურის შესრულებას.

**იქიდანვე.** ხმები, თითქოს მზრუნველი გამანაწილებელ გოსპიტალში მოსამსახურე დაბალ პერსონლის დედათა სქესისა, ბებურხანოვი სამხედრო ცენზორად დაენიშნოთ ამავე გოსპიტალში მოვალ და წამავალ წერილებისა, ტყუილი გამოდგა. ალბათ „მეჭორეებმა“ მასალათ გამოიყენეს ერთნაირი „გულუბრყვილო“ სიყვარული ბებურხანოვისა თავის პაციენტკებისადმი, რომ ის მართლაც მათ (პაციენტკების) სახელზე მოსულ წერილებს ათვალიერებს, ყველა განყოფილებებში თვითონვე ჩამოარიგებს, (აბა რა სანდოა ახალგაზრდა ბიჭები!) ღამით რამდენჯერმე „აბხოდს“ გააკეთებს, (განა გასაკვირია—თვითონვე დარწმუნდეს თავის მზრუნველობის ქვეშ მყოფთა მდგომარეობაში?) და ვაი მას, ვინც ხელს შეუშლის ამ „მძიმე და პასუხის საგებ“ ოპერაციის დროს.

ჯიმშერ.



# მოხსენება

**ქიათურა.** ძ. ეშმაკო!*) დ. ქიათურა სრულიად დაივიწყე! მას შემდეგ, რაც შენ კახეთში მოგზაურობა იწყე, ჩვენ აღარა გვწყალობ. მართალია, კახეთის მნახველს ჩვენი შავი ქიათურა აღარ მოგეწონება, მაგრამ არც ისეა საქმე. ქიათურა, ოდესღაც შავი სამეფო, დღეს კულტურულ და განათლებულ ცენტრს წარმოადგენს. ამის სიმართლე ისეთი ადვილი დასამტკიცებელია, როგორც ორჯერ ორი თოთხმეტია**). შენ წარმოიდგინე, „ჩვენი მეგობარი“, ეს დასავლეთ საქართველოს, ქალაქ ქუთაისბურგის ლეიბ ორგანო, 50 ცალი საღდება ქიათურაში ყოველ დღიურათ. შენ გეოგრაფიის გარდა, მატემატიკასაც გიქებენ. აბა იანგარიშე, თუ რამდენ სიტყვას დაიტევს 50 ცალი გაზეთი. მე მგონია მილიონობით უნდა დავითვალოთ. ჰო და ყოველ დღე მილიონი ფაქიზი, ზრდილობიანი და ზნეობის მასწავლებელი სიტყვები რომ ვიკითხოთ და ვისმინოთ, რასაკვირველია გონებრივათ ავმაღლდებით და გავკულტუროსნდებით.

აი მიზეზი იმ მდევკაცური ნაბიჯისა, რომელიც ბადადგა ქიათურამ პროგრესის გზაზე, და რომელმაც ეგზომ განავითარა და განანათლა ჩვენი შავი სამეფო.

თუ ჩამოხვალ, გაგაცნობ აქაურ ნიჭიერ ყმაწვილს, ზრდილობიანს, მეგობრის რედაქციაში კარგათ ცნობილს, საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულს და ენა წყლიან ორატორს, დიდათ პატივცემულ პრაკოფ პატიოსნოვიჩ ფონტრიაპკოვს და მის ღირსეულ მეუღლეს ბარონ რიბოვს, რომელთაც ესოდენი ღვაწლი დასდეს ქიათურას, რომელთა მეოხებით და „ჩვენი მეგობრის“ საშუალებით მილიონობით შევიძინეთ ზნეობის და ზრდილობის გამომხატველი ტერმინები. დიახ პრაკოფ პატიოსნოვიჩ ფონ-ტრიაპკოვი გახლდათ, რომელმაც კეთილ ინება და თავისი მოხერხებული ობსტრუქციით ადრე მოგვაშორა იმ სულშემხუთავ, გაფუჭებულ ჰაერს, რომელიც ჰსუფევდა ადგილობრივ თეატრის დარბაზში, 25 მარტს სახალხო უნივერსიტეტის კრე[ბა]ზე.

მიუხედავათ ამოდენი ღვაწლისა, ჩვენ ხალხი ისეთი უმადურნი გამოვდექით, რომ დავტანჯეთ [...] პატივცემულნი მოღვაწენი და მათდამი შეუფერ[ე]ბელი შრომა მივაყენეთ მეორე კრების მოსაწყო[ბ]ბათ. წარმოიდგინე ბარონ რიბოვი, ეს სათნოებ[ით] მოციქული, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კა[]ბინეტიდან უნდა სცემდეს ბრძანებას, ასე გავტა[ნ]ჯეთ, რომ თვით ეს ნაზი არსება დარბოდა ხმებ[ი]საშოვნელად სახერის მიდამოებში. მართალია მა[]სოსანა მიუჩინეთ თანაშემწეთ, მაგრამ აბა სად ფ[]ხის ხმას აყოლილი სოსანას მუშაობა და სად გა[]მოწრთვნილ-გამოჭახრაკებულ ბარონ—რიბოვის თა[]ვაზიანი და შემპარავი მოპყრობა ბრწყინვალე წო[]დებისადმი. დიახ ჩვენ არხეინად ვხვრინავდით მა[]შინ, როცა ბატონი რიბოვი შუაღამისას დარბოდ[ა] ალმა-დალმა და ხმებსა ჰკრეფდა. ბ. რიბოვმა ა[რ] დაზოგა თავი და ხალხის საკეთილდღეოთ კაკეთ[ა] ისეთი **შავი საქმე**, რომელსაც ჩვენ უბრალო მი[]მაკვდავნიც არ ვკადრულობთ.

ბ. რიბოვზე უარესი დღე გასპადინ პრაკოფ[] პატიოსნოვიჩ ფონ-ტრიაპკოვს დავაყენეთ. წარმო[]იდგინე, ძმაო ეშმაკო, ასეთ ცნობილ მოღვაწეს როგორიც უფალი ტრიაპკოვია, თვით მოუხდ[ა] კრების დღეს: თუ სადილიდან აყენება წევრების თუ ლოგინიდან ადგება, თუ სტრაჟნიკის საშუალებით დაძახება, თუ საავათმყოფოდან ქარებიანი ავადმყოფის ჩამოყვანა, რომელთაც ხელებში ქარების მიზეზით ფეხით მოუხდათ კენჭის ჩაყრა.

აი, ასეთი სატანჯველი მივაყენეთ ჩვენს ზემო[თ] ნახსენებ მოღვაწეთ, ასეთი, **შავი საქმე** გავაკეთებინეთ მათ მაშინ, როდესაც ჩვენ „რიადოვოები“ ვიდექით ესაქმოდ და ბუზებსა ვყლაპავდით. შენთვის უფრო განსაცვიფრებელი ის იქნება, რომ ეს პატივცემულნი პირნი, რომელთაც თავისი ძალღონე შეალიეს საზოგადო საქმეს და განსაკუთრებით ამ არჩევნებს,—გავაშავეთ და კულტურულ კავშირში, ჩვენი უბრალო მომაკვდავნი გავიყვანეთ. განა ასეთი უმადურობა იქნება! იმედია, ძმაო ეშმაკო, ჩამოხვალ და შენ მიერ რწმუნებულ პატარა ეშმაკებს ჯეროვან დარიგებას მისცემ, რომ ასეთი საქციელი კვლავ აღარ ჩაიდინონ. პატივი სცენ ღირსეულთ, რათა მათი მადლიანი კალმის ნაყოფი ერთი ასად იქცეს და სიტყვანი წმინდა მოცი-

---

*) ეს წერილი სხვა და სხვა მიზეზების გამო გვიან იბეჭდება. ეშმ. მათრ. რედ.

**) ათის გამოკლებით.

ულთა მხსნელ და მფარველ ტარტაროზათ მო-
ევევლინოს ჩვენ. უკაცრავად, წერილი გამიგრძელ-
და, მაგრამ შენი ბრალია. ამდენი ხანია არ მინახ-
ეიხარ და მინდა წერილით მაინც მოვიკლა შენი
ნახვის წყურვილი. აწ კი ნახვამდის. დანარჩენი და
დასასრული შემდეგისთვის იყოს.

**რვა კენჭი***)

—

**დიდი ჯიხაიში.**

მინდა ვაცნობო ეშმაკსა
ავ-კარგი ჩვენი ყოველი...
ამ სოფლად ერთობ ბევრია
ბნელი და მავნე ცხოველი.
დაბეჩავებულ ხალხზედა
დაცეცილი აქვთ თვალები,
ვითომ და მათი მოწყალე...
ნამდვილ კი შეუბრალები.
კიდევაც „პატრიოტობენ"
ეს სოფელის ნაძირალები!
მათ შუბლზე სძებნო, ვერ პოვო
სინდისის ნატამალები.
სადაც რომ ძალას ატყობენ,
არიან შესაბრალები.
იკუნჩხებიან ვით ზღარბი
პირ ნიღაბ ანაფარები.
როცა ხედავენ: ხალხს თავზე
რისხვა აქვს დანაფარები
ეჰ, მაშინ უნდა შეხედოთ!
არცა ყავთ ტოლი, ცალები.
ხალხის მწყესობას, ჩემობენ
ეს პირნი განაშავები,
დონ-კიხოტივით სუყველას
„დაპრაწული" აქვთ თვალები,
ხალხის ფულებით სუქდება,
ხალხის წინ დამნაშავები
გასულთა დროთა წესების
მძებნელი, მოტრფიალები.
ზოგს ტანზე კაბა აცვია,
და არის სჯულის მოძღვარი...
ხალხში თუ რამე აღმოჩდა
ქანქარის რამე მაგვარი,
ერთი ალაგი, მეორეც,
მესამეც, თუა ამგვარი,
უთუოდ, იმას ეკუთნის,
რადგან კუჭი აქვს მაძღარი.
მეორე ინტილიგენტი,
დიდებული აქვს სახლკარი,
სამგან თუ ქანქარს აიღებს
არც იმას ეთქმის უარი.
ასეა ესე ქვეყანა
ასეა მათი ზომაო...
მაძღარს, სიმაძღრე, გაძღომა,
მშიერს სიმშილით შრომაო.

**კიკოლა ბიჭი.**

*) ეს რვა კენჭი, „ესფერთ" ყუთში,
ზედმეტათ რომ გარაჩხუნდა,
მოვიპარე ფსევდონიმათ,
თუ არ დამცხეს ქვა და გუნდა.

## მესტვირული.

(№ 33 ფაზარეთს).

შენ, ჩემო კარგო ქამანჩავ!
უნდა შეგახო ხელია,
რომ მღერით შემოვიაროთ
ნავთლულის მინდორ-ველია.
ლაზარეთებში შევიჭრათ,
(თუმცაღა მეტად ძნელია)
სიფრთხილე გვმართებს ამ ჟამად
იქ სცხოვრობს რუხი მგელია,
არ ვიცი, გადარჩენოდეს

შიგ მყოფი უკბენელია,
გარეშეებსაც, არა ერთს,
დაუსახიჩრა წელია;
მისგან გარბიან ყველანი,
ვით მეძებრისგან მელია...
დადგება ხანა, გამოჩნდეს
საქმენი მისი ბნელია,
დღეი დაადგეს საზარი,
მოსძებნოს სორო-ხვრელია,
შიგ შეძვრეს, იმალებოდეს
ბოროტი შემცოდველია...

—

ახლა ვეწვიოთ შაქროსა,
არ დაგვრჩეს უმადურია,
მიულილინოთ: გეთაყვა,
ცოტა გვათხოვე ყურია;
მოხედე ერსა „პუნკტისას“
და მიეც საზრდო პურია,
მარხვა ეყოფა, ამდენი,
ნუ ხარ სასტიკის ჯურია“...
დამპალი თევზით და ბრინჯით
ვით შესძლონ სამსახურია?
შენ შემოგყურებს, მამაო,
გარეშე—შინაურია.

—

არ დაგვავიწყდეს, სტვიროჯან,
შახუინ-ჩანჩაგირია,
ტელეფონისა გამგეთა,
ჩქარი მიშველა სჭირია,
ღიღინით ვამცნოთ ქვეყანას,
რომ მათ დაადგა ჭირია;
„მოწყალე დებსა“ უხმობენ
ნაცნობ-უცნობი პირია,
ზოგი „ვეტცელში“ იბარებს,
ზოგს მოსწონს მტკვრისა პირია,
თუ ვინმეს დროი გადუცდა,
გამგეთ ვერ იხსნის გმირია,
დანგრევა, განადგურება,
იერიშებიც ხშირია...
აწ კი ვუშველოთ ვავს, თორემ
დავრჩებით ანატირია.
უფალო! გვიხსენ მონანი,
ნურმც ვიქნეთ განაწირია!

**შ—ო.**

# გაცრუებული იმედი

**ანუ**

**ვინ იყვნენ ქურდები?**

ეს ამბავი გურიაში მოხდა, სოფ. ჯვარზე, შემოქმედის საზოგადოებაში, ვინაიდან ახირებული ყველაფერი გურიაში უნდა მოხდეს.

ფეხ-აკრეფით ეპარებოდენ ისინი პატარა შავსა და მჭვარტლიან ქოხმახს. თუმცა ღამის სუდარა ჰფარავდა ყველაფერს, მაგრამ ისინი მაინც შეშინებულად აცეცებდენ აქეთ-იქით თვალებს. ცხადია ეშინოდათ.

ფრთხილად გაიღეს სამჭედლოს კარები და ხარბათ დაიწყეს ნივთების თვალიერება. ყველაფერი ცივი და ჟანგიანი ალმოჩნდა. „კასაშიაც“ მხოლოდ კაპეიკები დახვდათ.

— აი, ჩვენთვის საჭირო ნივთები, დაიძახა ერთმა და იქვე კუთხეში მიყრილ ნალებს ხელი დაავლო.

მახლობელ ეკლესიაზე ყარაულმა ჩვეულებისამებრ ზარებს ჩამოჰკრა და მით ქურდებს საქმე გაუფრთხო. იმათ მსწრაფლ მიატოვეს პატარა მჭვარტლიანი ქოხი და ნადავლით წყვდიადში მიიმალენ.

შეცდომა ღამის რაინდებისა მხოლოდ მეორე დილით გამოირკვა. როცა მათ სამჭედლოში მოპარული ნალები ფერხთ მიიზომეს ყველა დიდრონი ალმოჩნდა. მათ მხოლოდ ნალების სიმრგვალით იხელმძღვანელეს, სიდიდეს ყურადღება ალარ მიაქციეს და ნალებიც ბედაურ ცხენების ალმოჩნდა. მათთვის თურმე მეოთხედი ზომისაც იკმარებდა.

ვინ იყვნენ ქურდები.

**შ—ტალი.**



## გამოცანა

(ქვიტირი, ქუთაისის მაზრა)

ერთი ვინმე (ამ სოფელში)
დაბალი და ჭალარაა,
ხშირად რომ სვამს და ბევრს ლოთობს
მის ჭკუაზე აღარაა.

ხან ერთს ლანძღავს, ხან მეორეს
ბილწ სიტყვებით ყველას თათხავს...
(სწორეთ კარგი იქნებოდა
უცხუნებდეთ მაგრად მათრახს).

თუ ოდესმე ფხიზლათ არის
მელა-კუდობს, ეგ მაცდური
და საწყალ გლეხს ფცქვნის, ატყავებს
თუ იხელთა უბედური.

თვითონ ხშირად გაიძახის,
რომ თუმნობით ხარჯავს დღეში,
გასაკვირვი ამბავია?!!
სად შოულობს ამდენს ჩვენში?!.

ოცდა ათი მანათი აქვს
შრომის ქირა იმას თვეში,
აბა, ამდენს რითი ფლანგავს
თუ არ სცურავს საქრთამეთში?

„ჯოჯოხეთის ოთახი“ აქვს
ყველა სტავნებ დახურული...
ბნელ ოთახში გლეხი შეჰყავს
ხაქმე რომ ჰქმნას დაფარული...

მოსე მწერალს წააჭარბებს,
ოინები იცის ბლობად
და სოფელიც მისცა ღმერთმა
ფართე კუჭის გასაძღომად.

**ლაი-ლაი.**



## „ეშმაკის მათრახის“ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ:

ვთხოვთ ხელის მომწერლებს ჟურნალის ფული ვისაც არ გადაუხდია ადრე გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ეშმ. მათრახის“ გზავნა შეუწყდებათ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Ольгинская № 6, С. Таварткиладзе.


გამოვიდა „ან“-ის ახალი ბროშურა

**კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი.**

კანტორა „განათლებაზ“ მიერ გამოცემული.

**ფასი 25 კაპ.**

აგენტებს დაეთმობათ 20 კ. საწყობი ოლოლას ქუჩა № 6.


## განცხადება

ჩაეწერეთ დეზინფეკტორთა კლუბში.

# სტყუის

ვინც ამბობს, ვითომც მსოფლიო ომმა გაანადგურა ყველაფერი და სიამოვნება ხალისიც თან წაიღოვო... მობრძანდით, ჩაეწერეთ წევრათ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ადამიანის სულიერ წყურვილთა მოკვლა შეიძლება ყოველ დროს. მკითხველი დარწმუნდება, რომ „კლუბისტებს“ ანგარება არ ალაპარაკებსთ, არამედ იღვწიან, რომ ადამიანის დამშეულ გონებას მიაწოდონ სულიერი საზრდო. —წევრად ჩაწერა და შესვლა უფასოა, **რაც შეეხება გამოსვლას, ამაზე შემდეგ...**

(გამან. ლაზარეთი)

ჰატივისცემით ყოფილი პორკონიკი **გ—ცი.**

3—1

# ვისაცა აქვდენ ყურნი სმენად, ისმინეთ.

## იჩქარეთ შემთხვევა იშვიათია!

### ბედშაო სოფლის მუშებო!

ისარგებლეთ იშვიათი შემთხვევით. ჩაეწერეთ ჩემს მუშათა რაზმში.

### პირობები ხელსაყრელია.

1) ხელფასი დღეში 5 მანეთი. (8 საათის სამუშაო).
2) ბინა, ხარჯი და წამლობა ჩემი.
3) გზის ხარჯი ბათუმამდე თქვენი, იქით ჩემი.
4) ანგარიშის გასწორება ყოველ დროს.

**იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ!**

ვარდენ ფლიდაძე.

## იჯარადარნო და მოიჯარადრენო!

### ისარგებლეთ ბედნიერი შემთხვევით.

შემიძლია ქ. ბათუმში ჩაგაბაროთ 500—600 კაცამდე გამოცდალი მუშა ხელი.

### საკომისიოდ ავიღებ სულზე მხოლოდ 7 მანეთს.

ხელფასის შესახებ მუშებს თითონ მოელაპარაკებით ადგილობრივ.

**საჭიროა სიჩქარე!**

ვარდენ ფლიდაძე.

# ვინა ხართ ქრისტიანი.

მივმართავთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა საწყალი ხალხისათვის, შევიდეს ჩვენს უმწეო მდგომარეობაში და აღმოგვიჩინოს დახმარება. ვიღაც გაიძვერა ფლიდაძემ სასტიკათ მოგვატყუა, სოფლიდან ბათუმში ჩამოგვიყვანა და მიგვყიდა ვიღაც ულმერთოს. გვინდა სოფელში დაბრუნება, გზის ფული აღარ გვაქვს. გვიშველეთ.

ხელს აწერს 500 კაცი.

გამეორება, მოგახსენებენ, ისედაც სასარგებლოაო, მაგრამ ამ სურათს თავისი ისტორია აქვს. ბრმა შემთხვევის გამო დაიბეჭდა იგი უსულოდ. ე. ი. მას აკლდა უმთავრესი ნაწილი, რომელსაც ახლა თან ვაყოლებთ.

„ეშმაკის მათრ.“ რედაქცია.

**ქართული ენა.**

„რატცელისა და მეჩნიკოვის სოციოლოგიურ კონცეპციას ისტორიულ და რეალურ ტერიტორიის აპოლოგეტები ერთნაირად გაინაწილებენ. 1899 წლის ბრიუნის პარტიეტაგსაც ისტორიული და რეალური პრინციპის სუბსტრაქტად მიაჩნდა საზოგადოდ ტერიტორიალიზმი და თუ პარტეიტაგმა ისტორიზმი უარჰყო იმიტომ, რომ რეალური მოსახლეობის პრინციპი უფრო ელასტიურია და ფართო. („სახალხო ფურცელი“).

**თ. ლლონტი.**

**საშუალო მკითხველი.** მრდი და გაიგე რას ნიშნავს ეგ აბდა უბდა!

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.